



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87. 87233629

თარიღი:28/12/2023

დადგენილება №36

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №9 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 09/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016428).

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



## განმარტებითი ბარათი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ მიღება, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 1 იანვრიდან სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ფუნქციები, რაც გათვალისწინებულია სამსახურის დებულებით, აღარ იქნება მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია „თავდაცვის კოდექსის“ შესაბამისად სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით დადგენილება შედგება 2 მუხლისგან. პირველი მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად ცხადდება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №9 დადგენილება, ხოლო მე-2 მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი**

**გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.**